ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4835921

ნომერი: AR1728236

თარიღი : 10.01.2020

გაცემის თარიღი : 27.01.2020

გაცნობის თარიღი : 27.01.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ხუროძე პ/ნ 01017010344
- კოსტავას ქ. 60

ორგანიზაცია:
- შპს "მეიდან ტური" კოდი: 404546773

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4793205 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 10 იანვარს NAR1728236 განცხადებით მომართა ქეთევან ხუროძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4793205 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4793205 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი -კრქწანისი), გორგასლის ქ. N9-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 17 დეკემბრიდან 2020 წლის 23 ივლისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4793205 ბრძანების განმარტებით ბარათში დაფიქსირებულია „ა“ და „ბ“ ბლოკების საერთო ფართობები. ამჯერად კი მოთხოვნილია მაჩვენებლების ცალ-ცალკე დაფიქსირება შესაბამისი ბლოკების მიხედვით.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N882019697889 მომზადების თარიღი: 02/09/2019 16:18:16) მიხედვით, N01.18.04.002.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“ (204380035). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B19062712, მომზადების თარიღი: 05/06/2019 10:32:52), შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“-ს (204380035)
ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ლაშა ქევანიშვილი (პ/ნ: 01024006506).
სამსახურში წარმოდგენილია ლაშა ქევანიშვილის მიერ ქეთევან ხუროძის სახელზე გაცემული 2019 წლის 04 სექტემბრის მინდობილობა.
სამსახურმა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2019 წლის 16 დეკემბრის №4793205 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში არსებულ განმარტებით ბარათში, არსებული და საპროექტო შენობების ფართობები დაფიქსირებულია შესაბამისი ბლოკების მიხედვით, ცალ-ცალკე. წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის მიხედვით ხდება საპროექტო შენობის ფართობების ცვლილება. სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში დაფიქსირებული შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს 2019 წლის 16 დეკემბრის №4793205 ბრძანებაში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4793205 ბრძანებაში. კერძოდ:
1.1 აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული განმარტებითი ბარათი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი განმარტებითი ბარათით.
1.2 აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4793205 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4793205 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge